

# ახალი გზა

ყოველ-კვირული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი

№ 3 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 3

შინაარსი: 1. პოლიტიკური პერსპექტივები—მ. ხუნ-  
ძე; 2. საღღისო კითხვები—არ. მექანარიშვილი; 3.  
ტორიული მატერიალიზმი და ფაქტორების თეორია—  
ძინა რამიშვილი; 4. სიმღერა (ლექსი)—გენო; 5. მარქ-  
სმის ფილოსოფიიდან—კ. ბაქრაძე; 6. თანამედროვე

კაპიტალიზმის განვითარების ფორმები და სოციალიზმი—  
გიორგი ნინოშვილი; 7. საღღისო შენიშვნები—ვ. ნიკუ-  
რაძე; 8. კოოპერაცია და ქართული ს.-ფედერელისტები  
—ს. მიხეილძე; 9. რეზოლიუციები; 10. კონფერენცია—  
პირველი სხდომა; 11. განცხადებები.

4904



კარლო ჩხეიძე



# პოლიტიკური პერსპექტივები.

აღმათ ხალხისათვის არ კმარა ისტორიის გავეთილების გათვალისწინება, მან თვითონ უნდა გაიაროს თავისი პოლიტიკური გზა, თვითონ უნდა გადაიტანოს უაღრესი ტანჯვა-ვაება, თვითონ განიცადოს თავისი შეცდომების სიმწარე, რომ ბოლოს მიაღწიოს რევოლუციის საღ იდეების გამარჯვებას.

სამართლიანათ გამოსტევა ეს აზრი ირაკლი წერეთელმა ბალშევიკთა აჯანყების შემდეგ. რუსეთის დემოკრატიისათვის არ იყო საკმარისი იმ საშინელი სურათების მოგონება, რომელნიც გამოიწვია პროლეტარიატის პოლიტიკურ შეცდომებმა 1848 და 1871 წ. საფრანგეთში. მან თვითონ ჩაიდინა ეს შეცდომები და ამის გამო ახლა ის თვით განიცდის თავის მოქმედების აუტანელ შედეგებს.

ჩვენ ერთი წამითაც არ ვივიწყებთ ფრიდრიხ ენგელსის უკვდავ აზრს, რომელიც ჩვენ დღევანდელ ტაქტიკის მეცნიერულ გამოხატულებათ უნდა ჩათვალოს: „არ არის იმაზე მეტი უბედურება პროლეტარიატისათვის, რომ მან ჩაიგდოს თავის ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მაშინ, როდესაც ამისთვის არ იქნება მომზადებული სათანადო ეკონომიური და სოციალური პირობები“.

როდის უნდა ჩაიგდოს თავის ხელში მუშათა კლასმა სახელმწიფო აპარატი? მხოლოდ მაშინ, როდესაც კაპიტალისტური წარმოება განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს, როდესაც სავსებით ჩამოყალიბდება ორგანიზაციულათ შეუდრეკელი, ინტელექტუალურათ და ფიზიკურათ უძლეველი კლასი-პროლეტარიატი, რომლის ისტორიულ მისიას შეადგენს კაპიტალიზმის განადგურება და თავისი ძალით ახალი, სოციალისტური წეს-წყობილების დამყარება.

იმ დროს სწორეთ, როდესაც ობიექტიური, რეალური პირობები მოითხოვენ კაპიტალიზმის დარღვევას, შესაძლებელი იქნება პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება.

თუ მუშათა კლასი ეკონომიურ პირობების მიუხედავათ მაინც შეიქნება სახელმწიფო ძალაუფლების პატრონი, მას დაატყდება საშინელი უბედურება!

გინდათ წარმოიდგინოთ ამ უბედურობის სურათი?

გადაშალეთ საფრანგეთის რევოლუციის დიქტატორია, შეხედეთ პროლეტარიატის სისხლით მოწყულ პარიზის ქუჩებს, მოიგონეთ კვენსაჟის და ტიერის უმოწყალო დიქტატურა, გაითვალისწინეთ ხალხის რევოლუციონურ ენტუსიაზმის გაქარწყლება და რეაქციის დიდი ხნით გაბატონება, და თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რამდენათ საშინელია ის.

1848 წელს, ენისის დღეებში პროლეტარიატი დაღისაბა მიზნათ თავისი სოციალური განთავსუფლება; ამ მიზნის განხორციელებას, ეწინააღმდეგებოდა, როგორც საფრანგეთს იმდროინდელ ეკონომიური, საერთოთ ობიექტიური მდგომარეობა, ისე ამ მდგომარეობის სუბიექტიური გამოხატულება ხალხის უმრავლესობის იდეოლოგიკ აჯანყებული მუშები ბლანკის მეთაურობით შევარდენის დამფუნებელ კრების დარბაზში და ხალხის სახელით განაცხადეს, რომ კრება გარეკლიკ ასეთი სტიქიური მოპრობა სასტიკი დამარცხებათა თავდა.

ასრებითად, იგივე ისტორიული შეცდომა ჩაიდინა პარიზის პროლეტარიატმა 1871 წელს და ამ შეცდომას ისეთივე საბედისწერო ბოლო მოჰყვა დღევანდელი რევოლუცია მოხდა ნახევრათ ფეოდალურ რუსეთში, სადაც კაპიტალიზმი ძალიან სუსტათ არის განვითარებული და სოციალისტურ წყობილების დამყარებაზე ლაპარაკიკ კი მეტიათ ამიტომ რუსეთის რევოლუციის სწორეთ გაგებელი მიზნები არ შეიცავდენ კაპიტალიზმის დარღვევას. მას შეეძლო მხოლოდ დემოკრატიზმის სრულ განმტკიცება, ეროვნულ პრობლემის გადაჭრა, ფართო სოციალურ კანონმდებლობის დაწესება და მიწების ხალხისთვის გადაცემა. აი სწორეთ ამ მიზნების განსახორციელებლათ იყო მოწოდებულს დამფუნებელი კრება, მთელი ხალხის მიერ საუკეთესო წესით-არჩეული.

მაგრამ რევოლუციის დაწყებიდან დამფუნებელ კრების მოწვევამდე 8 თვემ გასტანა კოალიციური მთავრობა უძლური აღმოჩნდა დიად კრებების გადაჭრის წინაშე, მან ვერ მიაღწია ზავს, რომელიც ასე სწყუროდა ხალხს, ვერ ალაგმა ეკონომიური ანარქია, ვერ გადადგა გაბედული ნაბიჯები ეროვნულ და აგრარულ საკითხების მოსაწესრიგებლათ.

მთავრობის უნაყოფო მოქმედებამ დიდი უკმაყოფილება დაბადა ხალხში, უმთავრესათ იმ წრეებში, რომელნიც ყველაზე მწვავეთ განიცდიან ქვეყნის არე-დარევას, მუშებში და ჯარის-კაცებში.

ლენინელებმა აღლო აუღეს ამ წრეების სულისკვეთებას, გასწიეს შესაფერისი დემაგოგიური აგიტაცია შეიარაღებულ ჯარის-კაცების და მუშების თავის მხარეზე გადასაცვანათ, მათი სიმპათიის მოსაპოვებლათ. შეიარაღებული ძალა კი მათ ნებას მისცემდა სახელმწიფო აპარატი ხელში ჩაეგდოთ და მის საშვალებით უკულტურო, ჩამორჩენილ რუსეთში სოციალისტური წარმოება დაემყარებიათ.

ლენინი თავის ტაქტიკაში სრულიად ჩამოშორდა მარქსისტულ მოძღვრებას, მისი მთავარი პრინციპი „action directe“ ანარქისტების და სინდიკალისტების მოქმედების დედა-ბოძს შეადგენს.

ლენინის პოლიტიკური მუშაობა--პარიზის პროლეტარიატის და ბლანკის შეცდომების განმეორება იყო.

მიუხედავათ ამისა, შეუგნებელი მასსა თან წაყვა ლენინს.

25 ოქტომბრის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს სათავეში დგას ლენინელების პარტიული თავრობა!

მან პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის (sic!) დიქტატურა გამოაცხადა და შეუდგა სოციალისტურ დეკრეტების ცხოვრებაში გატარებას.

სოციალიზმი რუსეთისათვის დღეს უცხო ხილია და რაღა გასაკვირალია, რომ სახალხო კომისართა მოღვაწეობამ მხოლოდ ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ არე-დარევას, გააჩაღა უმთავრესათ სამოქალაქო ომი, რომელშიაც იხრწნება ხალხის რევოლიუციონური ენტუზიაზმი, პროლეტარიატი თან და თან მარტოვდება, და ამით მზდადდება ნიადაგი მომავალი ტიერის ხატონობისათვის.

რუსეთის ხალხმა უკვე გამოხატა თავისი დაჰკიდებულება დღევანდელი მთავრობისადმი დამუქნებელ კრებამ თავის პირველ სხდომაზე უარყოფინის სოციალისტური დეკლარაცია. სახალხო კომისართა საბჭომ ამის გამო დამფუძნებელი კრება (რომელიც შესდგებოდა მხოლოდ სოციალისტურ და დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენებისაგან), გარკვა.

საბედისწერო მომენტი პროლეტარიატისათვის სწორეთ ახლა დადგა. სამოქალაქო ომი თან და თან ფართოვდება, ქვეყანა ეკონომიურ კატასტროფას განიცდის, ზავი არ ხორციელდება და ამის გამო ჯარი, რომელიც თავისი ხიშტებით ზურგს უმაგრებდა ლენინს, თან და თან შორდება მას, რუსეთი დანაწილდა რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოთ და ბალშევიკები მხოლოდ ველიკოროსიაში ბატონობენ. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ შესაძლებელია მთლიანი დემოკრატიულ ფორმის აღდგენა.

იმ დროს, როდესაც ანარქიის ტალღები თითქმის ყველა კუთხეებს მოედვა, და აღარ არსებობს საერთო ძალების შემაკავშრებელი ცენტრი, რევოლიუციის გამტკიცება და დემოკრატიის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ.

აქამდის ჩვენი მხარე, ამიერ-კავკასია ანარქიის გარეშე იყო. ახლა კი სამოქალაქო ომის, სისხლის ღვრის სურათები უკვე გადაგვიშალა თვალწინ. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს ადგილობრივ წესიერების აღდგენისაკენ. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაუყოვნებლივი შეიარაღება საყოველთაოთ, ძლიერ ჯარის შედგენა, რომელიც დარაჯათ ეყოლება რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ჩვენში.

მასთან ერთათ უნდა მოწვეულ იქნას ადგილობრივი სეიმი, რომელიც განამტკიცებს დემოკრატიას, დაამყარებს სასურველ წყობილებას, როგორც მთელ ამიერ-კავკასიაში, ისე ცალ-ცალკე ეროვნულ ერთეულებში, იზრუნებს ზავის ჩამოვდებისთვის ოსმალეთთან და გაატარებს ცხოვრებაში აუცილებელ სოციალურ რეფორმებს!

ეს ერთათ ერთი გზაა ანარქიის მოსპობისათვის. ერთათ ერთი საშვალეა დემოკრატიის და რევოლიუციის გაძლიერებისათვის...

ამ გზას დაადგა ამიერ-კავკასიის სარევოლიუციო ცენტრალური საბჭო, რომელიც ამ დღეებში იწვევს ამიერ-კავკასიის საკანონმდებლო სეიმს.

ჩვენ გულწრფელი სიხარულით ვეგებებით ამ გადაწყვეტილებას.

მ. ხუნდაძე.

# სადღესო კითხვები.

აზრები და შენიშვნები.

## 2. მარქსიზმი და მისი გავრცელება: კადეც ძველი და ახალი ბალშევიზმის შესახებ

ძნელი და თანაც ფრთხილი სახმარებელია მარქსიზმი, როგორც მკრედი იარაღი ცხოვრებაში. სწორეთ აქ მართლდება თქმულება, რომ „კარგ მთქმელს, კარგი გამგონეც უნდა“. იდეიურ მოწინააღმდეგეთ რომ თავი დავანებოთ, რომელნიც იშვიათად თუ იცნობენ მეცნიერულ სოციოლოგისმს არსებითად (მარქსიზმი ხომ მათი კითხული არ არის!..), თვით მარქსისტებშიც სხვა და სხვა აზრი ტრიალებს ხოლმე, როცა საქიროა ხდება ამა თუ იმ ტაქტიკური ხასიათის კითხვის სისწორით გადაჭრა. ჭეშმარიტად, რომ დიადია მარქსიზმი და ყველამ უწყის, რომ დიდ სავანს დიდი და სერიოზული შესწავლა უნდა. მარქსიზმი, როგორც იდეოლოგია კაპიტალისტურათ მოწყობილი საზოგადოებების ყველაზე უფრო რევოლიუციონური და პროგრესიული კლასისა, მარქსიზმი განვითარებული და ფრთავამოლილი—მეცნიერების უკანასკნელ სიტყვით ითვლება და, როგორც ასეთი, ნიდავ ცხოველმყოფელი და რთულია, და მოითხოვს ადამიანისგან წინასწარ „ცოდნას“, რომ ცოდნავე მისცეს და ამ ძალით აღტყურვოს იგი. აქედან წარმოსდგება მისი სხვა და სხვანაირად გავება: ზოგი იგებს შედარებით სწორეთ და უკეთესათ, ზოგიც ნაკლებათ. რომ დავაკვირდეთ მარქსიზმის პრაქტიკულ გამოხატულებას დღევანდელ რუსეთის რევოლიუციაში, უპირველესათ ყოვლისა თვალში გვეცემა ორი მმართულება რევოლიუციონური აზრის: ხაზი „ბალშევიზმის“ და ხაზი მენშევიზმის. ორივე ეს ტაქტიკა არის ს.დემოკრატიული მომღვრებიდან გამომდინარე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პირველ ხაზს დღეს მხოლოდ ფორმალური კავშირი აქვს მარქსიზმთან, ფაქტიურათ კი მისგან დაშორებულია. ამ მხრივ მეტათ სიმპტომატიური გამოდგა ლენინის სიტყვები, რუსეთში ჩამოსვლისთანავე რომ წარმოსთქვა ს.დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, რაც მან და მისმა მიმდევრებმა ასე აშკარათ მოიყვანეს სისრულეში და, როგორც ვსთქვი, ფაქტიურათ დასცილდნენ ს.დემოკრატიზმს. ამ წინააღმდეგობის და შეუსაბამობის შესახებ, რომელც

არსებობს ეხლანდელი „ბალშევიზმის“ საქმესა და პროგრამის შორის, საქიროა ხშირათ ლაპარაკი, რადგანაც მეტათ მწვავე და საბედისწერია ეს კითხვა ჩვენთვის და მთელი პროლეტარული მოძრაობისთვის: ან „ბალშევიზმი“ დამარცხდება რეაქციისაგან და ეს იქნება რევოლიუციის იდეის დამარცხებაც, ან და „ბალშევიზმი“ დამარცხდება თვის და შიგნით, იდეურათ და უსისხლოთ, და ეს იქნება რევოლიუციონური ფორმის გაცრთობნება და მუშათა კლასის გამარჯვებაც.

პირველ წერილში ჩვენ გამოვსთქვით აზრი, რომ ეხლანდელი „ბალშევიზმი“ უარყოფელია ძველი ბალშევიზმის. შევხვეთ ტროცკის და დავინახეთ, რომ ტროცკი 1905 წელშიც მაქსიმალისტი იყო, მაგრამ უფრო მოფიქრებული და წინდახედული, დღეს კი მისი მეცნიერული სიღინჯე გაჰქრა, ვით საპნის ბუშტი, და ტროცკის ჩვენ შეგვჩა მხოლოდ და ურა-მაქსიმალისმი და დაუფარავ ბლანკიზმი. რაც შეეხება ეხლანდელ „ბალშევიზმის“ სხვა ლიდერებს, ისინი ეხლა თუმცა წინაც უსწრებენ ტროცკის ამ მაქსიმალისტურ ჯიროთში, მაგრამ მაშინ, 1905-ში, ისინი არ იყვნენ ტროცკის თანაზიარნი, არ სცილდებოდნენ მარქსიზმის მთავარ პრინციპებს, ასე რომ იმ დროის რევოლიუციაში, რომელიც მხოლოდ პირველი აქტი იყო ამ დიდი მოძრაობის, მათ დღევანდელ შეხედულებას და მოქმედებას ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ ყველაფერი მოძრაობს და ყველაფერი იცვლება... ბალშევიზმიც გამოიცვალა ისე, რომ მასში ნატამალი აღარაა ძველი ბალშევიზმის. იგი განვითარდა, მხოლოდ... მეტათ საეჭვო მხარეზე.

ჩემ წინ დევს კ. კაუცკის წიგნაკი: „რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები და მისი პერსპექტივები“ ესეც დაწერილია ამ 10 წლის წინათ და წამმღვარებული აქვს ლენინის წინასიტყვაობა. კაუცკი, როგორც შეპყვრის მარქსიზმის უბადლო თეორეტიკოსს, ეხება რუსეთის 1905 წლის რევოლიუციას და ამბობს: „რუსეთის ბურჟუაზია ამ ხანაში ვერ ჩაითვლება რევოლიუციონურ კლასათ. რამდენადაც ეს ბურჟუაზია არის საზოგადოთ ლიბერალური და აწარმოებს საკუთარ კლასიურ პოლიტიკას, მას სსულის უეჭველია აბსოლიუტიზმი, მაგრამ მას სსულის უფრო მეტათ რევოლიუცია და თუ წინააღმდეგია აბსოლიუტიზმის მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ხედავს რევოლიუციის

ძირითად მიზეზს. თუ უნდა მას რაიმე პოლიტიკური თავისუფლებანი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საშუალებით ბოლო მოუღოს რევოლიუციას.“\*) აისითვის რევოლიუციამ რომ გაიმარჯვოს და მიღწიოს იმ მიზეზებს, რაც მას აქვს დასახული, საჭიროა პროლეტარიატის და გლეხობის მტკიცე კავშირი, რომელიც დაფუძნებული იქნება მათ ინტერესთა სოლიდარობაზე, საჭიროა მათი კოალიცია, გინაიდან **გლეხობის** გარეშე შეუძლებელია რუსეთში ამ რევოლიუციის გამარჯვება. „გლეხობის და პროლეტარიატის ეკონომიური ინტერესები ამ რევოლიუციაში ერთდებიან—განაგრძობს კაუცკი—მაგრამ არ შეიძლება **გადაჭარბებული აზრი ვიქონიოთ გლეხობაზე და ჩავთვალოთ ისინი სოციალისტებათ.** (კურს. ჩვ. არ-მ.) სოციალიზმი (რასაკვირველია მეცნიერულათ დასაბუთებული. არ-მ.) ემყარება მსხვილ წარმოებას და ყოველად შეუძლებელია განხორციელდეს იქ, საცა უმთავრესათ წვრილი წარმოება გაიფეხებული, საცა უდიდეს უმრავლესობას გლეხობა წარმოადგენს.“\*\*) შემდეგ კაუცკი საუცხოვო მარქსისტული ანალიზით არკვევს სოციალიზმის დამყარების შეუძლებლობას რუსეთში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თითქოს ეხლანდელი რევოლიუცია შეჭქმნიდეს რუსეთში სოციალისტურ წარმოების წესს, თუნდაც ქვეყნის შმართველობა დროებით ს.დემოკრატებსაც ჩაუვარდეთ ხელში.“\*\*\*)

ლენინი თავის წინასიტყვაობაში კაუცკის დებულებებს ყველაფერში ეთანხმება და თავის მხრივაც დასძენს: „ვერ შეიძლება დღევანდელი რუსეთის რევოლიუცია იქნეს სოციალისტური, რადგანაც არავითარ შემთხვევაში მარტო პროლეტარიატის დიქტატურა არ მოხერხდება, საჭიროა გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დაქვერ“... „რაც შეეხება გლეხობას კი, **ზედმეტია იმაზე ლაპარაკი** (კურსივი ჩვენია. არ-მ.), რომ გლხებთა მოძრაობა არაა სოციალისტური და რომ შეუძლებელია სოციალიზმი განხორციელდეს წვრილ წარმოებაში.“\*\*\*).

\*) კაუცკი „Движ. силы и перспективы Русской Революции“ გვ. 29, 1907 წ.  
 \*\*) გვ. 31, ibidem.  
 \*\*\*) ib. გვ. 31.  
 \*\*\*\*) ib. გვ. 4 და 6.

როგორც ხედავთ ეხლანდელი „ბალშევიზმის“ შინაარსი და საქმე დიამეტრალურათ ნსხვადება ძველი ბალშევიზმის სინაარსია და საქმისაგან. სჩანს ზედმეტი კი არ ყოფილა, არამედ ნაკლებიც, ლაპარაკი იმის შესახებ თუ გლხებურ წვრილ-ბურჟუაზიულ მეურნეობაში რის განხორციელება შეიძლება, ვინაიდან ბალშევიკებს ეხლა ეს მარქსიზმის ანბანი აღარ ასოვთ; ეხლა ისინი ხ-მ „სოციალისტურ შემოქმედებაში“ არიან გაათუღნი, მათივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, მათ „დაიწყეს სოციალისტური რევოლიუცია.“\*\*\*\*)

ერთში დავეთანხმებით ბალშევიკებს, რომ მათ რალაცა „დაიწყეს“... მაგრამ დაიწყეს არა სოციალიზმის მყნობა, არამედ თავის და უნებურათ, ობიექტიურათ მათ „დაიწყეს“... რეაქციონური მოძრაობა. ამის საუკეთესო მსაჯული და დამფასებელი ისტორია იქნება.

ამრიგათ აშკარაა: ეხლანდელი „ბალშევიზმი“ სხვაა, წინანდელი კიდევ სხვა. მაგრამ არ სჯობიან, რომ ახალი ღვინო ახალ ჭურჭლში ჩაისხას? საკითხავია, რალათ არის საჭირო ძველი პროგრამა? ნუ თუ მარტო რეკლამისთვის?..

**არ. მექანარიშვილი.**

**ისტორიული მატერიალიზმი და ფაქტორების თეორია.**

**1. ფაქტ. თეორიის და ისტორიის მატერიალიზმის წარმოშობა.**

კაცობრიობის ისტორია იმ მომენტიდან დაიწყო, როდესაც ადამიანი „საწარმოვო იარაღის მკეთებელ ცხოველათ“ იქცა. ამ დროიდან ადამიანის ცხოვრება ახალ რგოლში ვადლის, რადგან მისი განვითარება აღარ არის ამიერიდან ბუნებრივ ორგანიზმის სახეთა ცვლა, არამედ, როგორც პლენხანოვი იტყოდა, „ისტორია მის ხელოვნურ ორგანიზმისა“. კაცობრიობა აქ სცილდება ბუნებრივ წრის ბატონობას და ახალს საზოგადოებრივ ცხოვრებას იწყებს; ეს სოციალური, საზოგადოებრივი წრე უკვე თავის დამოუკიდებელ, შინაგან მწყობრ განვითარებას განიცდის, იგი იქცევა ერთს ორგანიულ მთელად, რომელშიაც ყველა ელემენტი ერთს და იმავე დროს არსებობს და ერთმანეთის პირობას შეადგენს“ (მარქსი). ანნარიათ ადამიანის ბიოლოგიური და სოციალური ცხოვრება მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

\*\*\*\*) იბ. 26—28 ოქტომბრის მათივე ვაზეთები.

აქედან ცხადია ყოველი ისტორიის შესწავლის თეორიის პირველი მოვალეობა განსაზღვროს თავისი საგანი და დანიშნულება, ამ შემთხვევაში განსაზღვროს საგანი ბიოლოგიის და სოციოლოგიისა. თუ ბიოლოგია განიხილავს საზოგადოთ ადამიანს, როგორც ზოოლოგიურ სახეს, სოციოლოგია სწავლობს ამ ადამიანის ისტორიულს ბედ-ილაზლს.

და ამ ისტორიული მატერიალიზმი და ფაქტორების თეორია ორივე ისტორიის ცოდნის თეორია არის: ისინი სცილობენ მოგვეენ მეცნიერული ახსნა ისტორიისა, სოციალურ ცხოვრების და მის განვითარების; ისინი სცილობენ რთული და მრავალმხრივი პროცესი ადამიანის ისტორიულ ცხოვრებისა ერთს მთლიან მიზეზობრივ სისტემით წარმოგვიდგინონ, გამოჰყონ უმთავრესი და უტილობის, შემთხვევის და უპრობოსაგან. ამით ისტორიის ცოდნაც ნამდვილ მეცნიერებათ უნდა იქცეს.

და აი ამ რთულ, გადახლართულ მოვლენებში გარკვევა, მათი მხარეების ცალ-ცალკე განხილვა, გამოყოფა და ანალიზი—ცხადია პირველი საფეხური უნდა ყოფილიყო ისტორიის ყოველ შესწავლისა. ყოველი ისტორიკოსი (თუ სოციოლოგი) უპირველეს ყოვლისა აბსტრაქციიდან იწყებს; რთულ ისტორიულ პროცესს ისტორიკოსი თავდაპირველათ მხოლოდ აღწერს, რადგან მის ჯერ არ გაანია ისტორიის ცოდნის თეორია ამ ფაქტების ერთს სისტემაში ჩამოსახსნელათ; ამ აღწერის დროს კი საჭირო არის „პერსპექტივა და დასაყრდნობი წერტილები“. (ანტ. ლაბრილა\*)). ამ საჭიროებამ ჩაუყარა საფუძველი სოციალურ კომპლექსის სხვა და სხვა მხარის აბსტრაქციას, რომელსაც პირველათ დამახასიათებელ თვისებების გამოყოფის და ხაზგასმით აღნიშვნის სახე ჰქონდა და შემდეგ კი გადაიქცა ფაქტორების თეორიით. „სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი, ამბობს პლენხანოვი, არის აბსტრაქცია; მის შესახებ წარმოდგენა აბსტრაქციის, განყენების დროს ჩნდება. ამ განყენების პროცესით სხვა და სხვა მხარეები საზოგადოებრივ ცხოვრებისა დამოუკიდებელ კატეგორიების სახეს ჰღებულობენ; სოციალურ ადამიანის მოქმედების სხვა და სხვა მხარეები კი—მორალი, უფლება, ეკონომიური ფორმები და სხვა—ჩვენს აზროვნებაში განსაკუთრებულ ძალებათ გადაიქცევიან, რომლებიც იწყებენ და განსაზღვრავენ ამ მოქმედებას.“\*\*)

შემდეგმა დაკვირვებამ და გამოცდილებამ ისტორიის მკვლევარებს უკარნახა აზრი ამ ფაქტორების ურთიერთ-გავლენის შესახებ და ასე ფაქტორების თეორიამ შემდეგი ხასიათი მიიღო: ისტორიის სხვა და სხვა მხარეების აბსტრაქციამ ისინი გაყინულ კატეგორიებათ გადაიქცია, რომელნიც ადამიანის ბუნების რომელიმე თვისების შედეგს წარმოადგენენ; ხოლო ამ ფაქტორებს შორის არსებობს ურთიერთ-გავლენა და მოქმედების შესლა.

\*) Ант. Лабріола. „Къ вопросу о матер. взгляды на исторію“ გვ. 27.

\*\*) Вельтовъ. Критика нашихъ критиковъ.

ფაქტორების თეორიის განმტკიცებას ხელს უწყობდა ერთი თავისებურობა ისტორიულ პროცესისა: ამ პროცესის მსვლელობაში სხვა და სხვა მისი მხარეები, პოლიტიკური, უფლებრივი და სხვ. ხშირათ, განსაკუთრებულ ეკონომიურ მიზეზების გამო, არა ჩვეულებრივ ძლიერებას აღწევენ და სცილდებიან სხვა „ფაქტორებს“; ეს კი მათ „დამოუკიდებელ ფაქტორს“ სახეს აძლევენ და თითქოს ადასტურებს ამ თეორიის სისწორეს. ამ მხრივ საუკეთესოთ განიხილა ფაქტორების თეორია ცნობილმა მარქსისტმა ანტ. ლაბრილამ. „პირველი და მეორე რიგის ფაქტორები—ამბობს ლაბრილა,—ჰქმნიან რა ერთგვარ ინტერესებს, ანვითარებენ თავისებურ ჩვეულებებს, ერთის სიტყვით, მიაპრობენ რა ადამიანის ნების-ყოფის და მისწრაფების განსაკუთრებულ საგნებისაკენ—ამჟვარავებენ ტენდენციას რომდენიმეთ გამოეყენ ამ პროცესის დროს ერთი-მეორეს. ამით აიხსნება იმ თვალსაზრისის წარმოშობა, რომლის მიხედვით არსებობს მთელი რიგი დამოუკიდებელ ფაქტორებისა, რომლებიც ვითარდებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლათ და თავისი ურთიერთობით ჰქმნიან ისტორიის პროცესს“\*\*\*).

როგორც ვხედავთ ფაქტორების თეორია, უპირველეს ყოვლისა, მეტაფიზიკური თეორიაა, როგორც ხმარობდენ ამ სიტყვის მარქსი და ენგელსი. ფაქტორები ცხოვრებას მოწყვეტევენ, განყენებული პრინციპებია—ამისთვის ახალ გამოცდილებას და ახალ მოძრავ ხანას სხვა თეორია უნდა წარმოეშვა. ფაქტორების თეორია „უნდა დაემატებინა ახალ, უფრო ფართო კონცეპციას—გენეტიურს, ევოლიუციონურს ანუ დიალექტიურს“ (ლაბრილა). ასეთ თეორიით მოველინა კაცობრიობას ისტორიული მატერიალიზმი. იგი უხლ ახალ ხანის შვილი არის: მისი საფუძველი კაპიტალიზმის განვითარება; კაპიტალისტურმა საზოგადოებამ საცხებით გამოაშკარავა ნამდვილი სახე ისტორიულ განვითარებისა; ერთის მხრით მისი მოძრავი ბუნება და მეორეს მხრივ ეკონომიკის როლი ისროდაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური მეთოდი არ შემოუტანია მეცნიერებებში მხოლოდ ისტორიულ მატერიალიზმს— იგი მის ანტიპოდს, ისტორიის იდეალისტურათ ახსნასაც, სდევდა თან. იდეალისტური შეხედულებით ისტორიის უკანასკნელი მიზეზი არის გონების და ცოდნის განვითარება; ამ შეხედულებამ თავის უმაღლეს წერტილს და თავისებურ სახეს ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში მიაღწია: ისტორია, ჰეგელის აზრით, აბსოლიუტურ იდეის განვითარების გამოხატულება არის, ამ აბსოლიუტურ იდეის განვითარება კი დიალექტიკურ კანონებში ჰხდება.

ისტორიულ მატერიალიზმის უმთავრესი დებულება, წინააღმდეგ იდეალისტურ შეხედულებისა, მოკლეთ მარქსის შემდეგ ცნობილ ფრაზაში გამოიხატება: „ადამიანთა შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ მდგომარეობას“.

\*\*) Ант. Лабріола. „Къ вопр...“ გვ. 62.

მარობას, არამედ მათ საზოგადოებრივ მდგომარეობის ფორმები ჰქმნიან საზოგადოებრივ შეგნების ფორმებს". მაგრამ ისეთი ფართო მცნება, როგორც არის „საზოგადოებრივი მდგომარეობა“ („обществен. бытѣ“). ვერ გამოდგება ისტორიის შესწავლაში უქანასკნელ დასაყრდნობ წერტილათ—იგი მეტათ რთული და ყოველმხრივი რამ არის. ისტორიის ახსნის დროს ჩვენ უნდა მივმართოთ მარტივ, უბრალო ელემენტებს; ასეთი ელემენტები, მარქსის განმარტებით, საწარმოო ძალები; მხოლოდ საწარმოო ძალები არის უქანასკნელი მიზეზი და მასთან—„ერთიან ერთი ცვალებადი (переменный) ელემენტი ისტორიის განვითარებაში“\*) საწარმოო ძალთა განვითარება არის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზი სათანადო ეკონომიურ სტრუქტურისა, ეკონომიურ ურთიერთობისა; იგი განსაზღვრავს წარმოებაში ჩაბმულ და გავრცელებულ ადამიანთა მოქმედებას, მათ მისწრაფებას, ეკონომიურ ინტერესს, კლასთა ბრძოლას. დაბოლოს იგივე საწარმოო ძალები „უქანასკნელ რიგში“ (въ посл. ряду), როგორც ენგელსი ამბობს, განსაზღვრავს იდეოლოგიას, საზოგადოებრივ შეგნებას: მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ. დინამიკის, განვითარების მხრივ რომ ავიღოთ ისტორიული პროცესი საწარმოო ძალების ცვლა იწყებს რევოლუციას და ცვლილებას ყველა ამ სფეროებში, ანუ, მარქსისტული ტერმინოლოგია რომ ვინმართა, „ზედ-ნაშენში“, რადგან იგი „ბაზისი“ არის ისტორიის მსვლელობის სხვა მხარეებისა. „თავის განვითარების რომელიმე საფეხურზე, ამბობს მარქსი,—მატერიალური საწარმოო ძალები საზოგადოებისა ვარდებიან არსებულ საწარმოო განწყობილებათა წინააღმდეგობაში, რომლის ფარგალშიაც აქამდის განიციდებენ განვითარებას. ეს განწყობილებანი გადაიქცევიან საწარმოო ძალთა ხელის-შემწყობ ფორმებისაგან—ხელის შემშლელათ; მაშინ დგება ეპოქა კრიზისებისა.“\*\*)

ასეთია მოკლეთ ისტორიული მატერიალიზმი...

ამნაირათ ჩვენ ამ ორ თეორიას შევხვებთ უფრო მათი გენეზისის, წარმოშობის მხრივ. ფაქტორების თეორია აუცილებელი საფუძვლი იყო ისტორიის ცოდნის განვითარებაში. მისი აუცილებლობის გაგება ჩვენ აგრეთვე შეძლებას გვაძლევს დავაფასოთ მისი მნიშვნელობა. „თუ ისტორიული ფაქტორები, ამბობს ლაბრიოლა, ჰემზარიტებისაგან ჯერ კიდევ შორს არიან, ამავე დროს ისინი უბრალო შეცდომაზე მალა სდგანან; ისინი ეკუთვნიან ჯერ კიდევ განვითარების და ჩამოყალიბების ხანაში მყოფ მეცნიერულ ცოდნას“. და მართლაც ფაქტორების თეორიამ მოგვცა მდიდარი და საჭირო განხილვა ისტორიულ ფაქტებისა, რომელიც ყოველ ისტორიის ცოდნის თეორიას დიდათ გამოადგება; მაგრამ მიუხედა-

ვათ ამისა იგი (ფაქტორების თეორია) მეტად დროულად რამ იყო. ფაქტორების თეორია თუ ანალიტიკური მოძღვრება იყო, რომელიც გოპოპოვის და განყენების საშუალებით იკვლევდა რთულ პროცესის სხვა და სხვა მხარე—საჭირო გახდა თეორია, რომელიც ყველა ამ ვანუელთა ძალებს ერთს მთლიან სისტემათ თავს მოუყრიდა. ისტორიული მატერიალიზმი სწორეთ ასეთი თეორიაა და ამ მხრივ ჩვენ შევვიძლია მას ვუწოდოთ „სინთეტიური“ (პლენანოვი) შემაერთებელი მოძღვრება.

ცხადია რისთვის გახდა ამ თეორიის წარმოშობი მხოლოთ კაპიტალისტური წყობილება და ისიც მის მაღალ ფორმების განვითარების დროს. მხოლოთ ამ დროს ჩამოესნა ნიღბთ ისტორიის მსვლელობას, მხოლოდ ესლა ჩამოეცლა მას ყოველი „მითიური და მისტიური“ საბურველი. ჩქარო ცვლა ცხოვრების ფორმებისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში—იწყებს ისტორიულ მატერიალიზმის დინამიზმს, დიალექტიურ სულს და აგრეთვე აზრს ისტორიის განვითარების შინაგანობის, იმანენტროლის შესახებ; საწარმოო ძალთა გავლენა და მისი როლის გამოაშკარავება შეძლებას გვაძლევს ეპოვოთ ნამდვილი მამომრავებელი ძალა და აგრეთვე ვსწნოთ მონიში, ერთი სითავე ისტორიის განვითარებისა. აქედან ცხადია—ისტორიული მატერიალიზმი რომელიმე პიროვნების კერძო თეორია კი არ არის, არამედ იდეოლოგია მუშათა კლასისა, რადგან მხოლოდ მუშათა კლასი შეიგნებს ჰირდაპირ ისტორიის დინამიურ ძალას, ეკონომიურ განვითარების გავლენას და აქედან ისტორიურ მონიზმს.

და აი რამდენათაც იზრდება. ძალა და გავლენა პროლეტარიატისა—ისტორიული მატერიალიზმიც იჭერს თავის ღირსეულ ადგილს. მაგრამ მიუხედავათ ამისა თანამედროვე „ოფიციალურ მეცნიერებაში“ მაინც უპირატესობა ფაქტორების თეორიას უჭყრია. და ეს ადვილი გასაგებიც არის: რასაც პირდაპირ ჰქნდავს მუშათა კლასი, ის, ეკონომიურ მდგომარეობის გამო, სხვა ჯგუფებისათვის ვერ არის ადვილი გასაგები. მაგალითად წვრილი ბურჟუაზიისათვის არც ეხლა გამოაშკარავებულა მთელი თავისი სიცხადეთ ძალა ეკონომიკისა, მისთვის პოლიტიკურ, უფლებრივ და სხ. „ზედ-ნაშენს“ არა ხაკლები რეალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მისთვის ისტორია ჯერ კიდევ სხვა და სხვა ძალების ნაფლეთებია, ვიდრე მთლიანი მონისტური პროცესი. ასეთ თუ ისე ფაქტორების თეორია ვერ კიდევ გავრცელებული არის; ხან ერთი და ხან მეორე ირთვება ამ ტრადიციული სამოსელით; მხოლოდ იგი, ცხოვრების სხვა და სხვა ტენდენციების გამოაშკარავების გამო, სხვა და სხვა სახეს და ელფერის პლბულობს, თუმცა თავის უმთავრეს თვისებებს არ პლალატობს.

ამიტომ ცხადია, დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ ორი მოძღვრების, ისტორიულ მატერიალიზმის და ფაქტორების თეორიის, უფრო გრცელი შედარება. ამით ჩვენს ჩვენს პოზიციას უფრო შემოვხახავთ და ვავიჯნავთ სხვა თითქმის მონათესავე თეორიებისაგან ამას ამ რევილიოლუციის, პარტიულ ბრძოლის და ჩამოყალიბების ხანაში ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება.

ბიძინა რამიშვილი.

\*) Дискуссия между Белл.—Баксомъ и Каутскимъ. ст. Каутскаго. გვ. 15.  
 \*\*) Предисловіе къ „Крит. нѣкот. полож. полит. экономіи“.



# სიმღერა.

მე აწყომ მშობა ცხოვრების ვერათ,  
 ამომიცრემლა ორივე თველები;  
 მანვე გარდამქნა თვის სასტიკ მტერათ  
 ნაობრ-ნაკენისი, ნავალალები:

მან დამიხატა ცრემლოთა გუბეში  
 მხარე ედემის ბაღათ ქტეულთ,  
 რაც შემდეგ არის სულის ნუგეში,—  
 ყვავილოვანი, სხივ მოფრქვეული...

მანვე ჩამსძახა: „დასწვი, დადავე  
 შავი სამეფო ძმათა მტრობისა!  
 მის ნანგრევებზე მტკიცეთ აავე  
 ჰა, ის ქვეყანა კაცთა ძმობისა!“

მეის შთამებერა მებრძოლის სული,—  
 ზვირთებს მივეცი ოცნების ნავი!  
 ბრძოლის გრივალმა ამითაო გული,—  
 გარდადიოვანტა სეუდის ნავი:

ამხედრებული გულის სიღრმეში  
 ველად გავიქერ პირველ ძახილზე!  
 და მძღავრად მდგარი ტიალ სიერცეში  
 დღეს სისხლის მსმელებს ვაგებ მახვილზე!

და თუ წავეგე ბრძოლა გმირული,  
 ბრძოლა მედგარი, შეუპოვარი:  
 მტერთა მახვილით გულ-გაგმირული  
 ხელ-ჩართულ ომში დავეცი მეკდარი,

დაე, დავემხო აწყომს მგმობელი  
 მომავლისათვის ბრძოლა-ტრფილში!  
 ოლონდ სხეც, ჩემი თანამგრძობელი,  
 ხსნას ჰპოულობდეს ხმლისა ტრიალში!

გენო.

## მარქსიზმის ფილოსოფიური ფიიდან\*

II.

### მარქსიზმის ფილოსოფიურ სისტემათა კლასიფიკაცია.

პირველ წერილში ჩვენ ვლაპარაკობდით მარქსიზმის ფილოსოფიის ზოგად პრინციპებზე, ჩვენ გვინდოდა გავვერკვია მარქსისტულ ფილოსოფიის ხასიათი. იქვე ჩვენ აღვნიშნეთ ორი საზომი სოციოლოგიური და გნოსეოლოგიური, რომლითაც უნდა მიუღვეთ სხვა და სხვა სისტემებს. ხოლო მანამ ამას დავიწყებდეთ, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ორ საკითხს გავცეთ პასუხი: 1) მარქსისტულ ფილოსოფიის სისტემათა კლასიფიკაციას და 2) მარქს-ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებებს. ჩვენ ვიცით, რომ არ არსებობს ერთი მარქსისტული ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ყველა მარქსისტს აკმაყოფილებდეს, როგორც ეს არის მაგალითად პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიულ ცოდნის თეორიაში. მარქსიზმში არსებობს არა ერთი, არამედ, რამოდენიმე ფილოსოფიური სისტემა და როდესაც ვგაქვს საქმე სისტემებთან და არა სისტემასთან, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავვერკვიოთ ამათში, უნდა დავყოთ ისინი რამოდენიმე ჯგუფად, უნდა კლასიფიკაცია გაუქეთოთ მათ.

მარქსიზმის ფილოსოფია უნდა იყოს ანტი იდეალისტური, ანტი-სპირიტუალისტური. მაშასადამე იგი უნდა იყოს ან მატერიალისტური ანდა პოზიტიური. ამ

\* რედაქცია არ იზიარებს ამხ. კ. ბაქრაძის წერილების ზოგიერთ დებულებებს.

ორი ცნების შეერთება ყოვლად შეუძლებელია (ის არ იქნება არც წმინდა მარქსისტული, არც მეცნიერული. ამაზე ქვემოთ). აი სწორედ ამ პრინციპის მიხედვით დაყოფილია, მარქსისტული ფილოსოფიური სისტემები.

ერთის მხრივ სდგას მატერიალიზმი. ამ მიმართულებას თითქმის ყველა მარქსისტი იზიარებს. ამას თავში უდგას პლენხანოვი და მისი მოწაფენი: აქსელროდი, (ორტოლოქსი), ლებორინი, რახნეტოვი და სხვა.

მეორეს მხრივ კი „პოზიტივიზმი“ — ამ მიმდინარეობაში რამოდენიმე მიმართულება არსებობს. ყველა სისტემები ამ უკანასკნელ მიმდინარეობისა ცოტად თუ ბევრად, გერმანულ ფილოსოფოსების მახის და ავენარისის სისტემებზეა დამყარებული. ზოგი მას საფუძვლად იღებს და ამით ემპირიო-კრიტიციზმს (მათ ფილოსოფიურ სისტემის სახელია) მარქსიზმის ფილოსოფიად აცხადებს. (აღლერი, ლუნაჩარსკი).\*\*)

სხვებმა თავისებურად გადაამუშავეს ემპირიოკრიტიციზმი და ისე შეუფარდეს იგი მარქსიზმს. ამათში პირველი ალაგი უნდა დაიკავოს **ზოგდანოვის ემპირიო-მონიზმა**. და იუშეკევიჩის **ემპირიოსმივილიზმა**. (უნდა ითქვას, რომ იუშეკევიჩის ფილოსოფია დამყარებულია უფრო მეტად ზუანკარეს და დიუჰემის სისტემებზე ვიდრე ემპირიოკრიტიციზმზე, ხოლო ბევრით უახლოვდება მას) ამათ შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ ბაზაროვის და როკოვის სისტემები. ბაზაროვს, როგორც ვსთქვით, აქვს

\*\* არის ერთი, სახელდობრ ვალენტინოვი, რომელიც თავის თავს ემპირიოკრიტიციზმის მიმდევრად სთვლის. ხოლო, ჩვენის აზრით, იგი სწორედ არ ხსნის მას, და აიტომ მიდის იდეალიზმისაკენ და ემპირიოკრიტიციზმს შორდება. ამაზე ქვემოთ ვიტყვით.

მხოლოდ სხვა სისტემისა, და არა თვით სისტემა. ჩვენ დავარქვით მას „მოქმედების ფილოსოფია“ და ბოლოს როკოკოს ენერგეტიკაში, მართალია ბევრი მათგანი ჩვენის აზრით არიან წმინდა იდეალისტური სისტემები, მაგრამ, ვემოჩინებით რა შემოღებულ ტერმინოლოგიას, ჩვენც დავარქმევთ ყველა ამ სისტემებს „პოზიტიურს“ „კრიტიკულ რეალიზმის“ სისტემებს.

ამ ორ მიმდინარეობის შუაში სდგას ი. დიცენი თავის ნატურმონისტულ ფილოსოფიაში. მის მიმდევრები მარქსისტებს შორის უფრო მეტი ჰოლანდიაშია, ხოლო ნამდვილი წარმომადგენლები არიან ე. დიცენი და უნტერმანი (არა ჰოლანდიიდან).

არის კიდევ სხვა მიმართულებებიც, თავის ლოზუნგებით „უკან კანტისაკენ“ „უკან ფიბტესაკენ“ და ბოლოს არის ერთი ცდა მარქსის—და... ანრი ბერგსონის შეერთებისა. რასაკვირვლია, ამათ ჩვენ გვერდს აუხვევთ როგორც ან 1) რეაქციონურს (cant-ი კანტის წინააღმდეგ) ან და 2) წმინდა იდეალისტურს.

ამ გვარად, სისტემებია: 1. მატერიალიზმი, 2. ანტი-მატერიალისტური, პოზიტიური, „კრიტიკულ რეალიზმის სისტემები“: ა) ემპირიომონიზმი, ბ) ემპირიოსიმულიზმი, გ) „მოქმედების ფილოსოფია“ ბახაროვისა, დ) „წმინდა ენერგეტიკაში“ (მეტაფიზიკური ჩვენის აზრით) როკოკოვი, დაბოლოს 3. დიცენიზმი.

III.

მარქს-ენგელსის ფილოსოფიური შეხედულებანი

წინ და წინვე უნდა ითქვას, რომ მარქს და ენგელს არ ჰქონიათ თავისი ფილოსოფიური სისტემა. მათ ჰქონდათ მხოლოდ სხემა, ცალკე აზრები გაბნეული სხვა და სხვა ნაწერებში. ამიტომ აქ საჭიროა თითქმის ფილოსოფიური მუშაობა და არა ფილოსოფიური, საჭიროა მათი აზრების აღნუსხვა. ამიტომ ხდება ის, რომ მარქსის და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებებზე არის იმდენივე აზრი, რამდენსაც უწერია მათზე.

ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ სამ კითხვას: 1) როგორია მატერიალიზმი მარქს-ენგელსის აზრით, 2) როგორი უნდა იყოს მარქსის აზრით, „მომავალი ფილოსოფიური სისტემა“, 3) როგორ უყურებდა მარქსი მიზეზობრივობის ცნებას.

ენგელსი მალა აყენებდა მე-XVIII საუკ. მატერიალისტებს. არა ნაკლებ პატივს სცემდა დიდებულ იდეალისტებს. იგი ღებულობდა მატერიალისტის სახელს, ხოლო არ სთვლიდა თავის თავს მატერიალისტების მიმდევრად არც მე-XVIII საუკ არც მე-XIX საუკ. (ბუხინერისა, ვოხტისა და სხვა).

მაშ რაში მდგომარეობს მატერიალიზმი ენგელსის აზრით, ის მატერიალიზმი, რომელსაც თვით იღებდა?

„არა ბუნება და ადამიანთა სამეფო ხელმძღვანელობენ პრინციპებით, არამედ თვით პრინციპები იმდენადაა სწორი, რამდენად ეთანხმებიან ბუნებას... ასეთია რთად ერთი მატერიალისტური ახსნა ამ კითხვისა. სინაღმდევ ამისა დიურინგის ახსნა არის იდეალისტურ-

რი, რომელიც სვამს კითხვას სრულიად პირუტყლმა (Навыворотъ) და რომელსაც მთელი მსოფლიო, სინამდვილე აზროვნებიდან, სხემებიდან და კათეგორიებიდან გამოჰყავს“\*).

რას ნიშნავს ეს ფრაზა? აპრიორულ და რაციონალისტურ აზროვნების და ცოდნის უარყოფას, რომელიც იდეალიზმის თვისებებია, ეს ნიშნავს დაბრუნებას ცდასთან, ემპირიზმთან. აი რაში ხედავს ენგელსი მატერიალიზმის არსს.

„ეს მიმართულება (ე. ი. მატერიალიზმი კ. ბ.), სწერს ენგელსი, არა იდეალისტურად უყურებს ბუნებას: იგი ხედავს ბუნებაში მხოლოდ იმას, რაც მასში არის“\*\*).

აქაც მატერიალისტური თვალსაზრისი არის თვალსაზრისი ემპირიული. გადავიდეთ მარქსზე.

„არსებითად, სწერს მარქსი, მატერიალიზმში არის ორი მიმართულება... მეორე მიმართულება იწყება ლოკიდან და სწორედ ეს მიმართულება ერთვის მეცნიერულ სოციალიზმს“\*\*).

როგორია ლოკის „მატერიალიზმი“. მარქსი სწერს: ლოკმა დაარსა „სალი გონების“ (здравый смысл) ფილოსოფია. მისი აზრით არა მარტო სული, არამედ გარემო გრძნობებიც, არა მარტო ნიჭი იდეების შექმნისა, არამედ შეთვისებაც (восприятие) არის საქმე ცდისა და შეჩვევისა. და ეს „მატერიალიზმი“, მარქსის აზრით შეუერთდა მეცნიერულ სოციალიზმს. როგორც ნათლად სჩანს, თვით მარქსის სიტყვიდან მატერიალიზმი არის სინონიმი ემპირიზმისა\*\*\*), მატერიალიზმი მარქსისათვის არის თეორია გნოსეოლოგიური და არა მეტაფიზიკური, და როგორც ასეთი იგი არის ემპირიზმი.

მარქს-ენგელსის აზრით ეს მატერიალიზმი შემდეგში გამოიკვლება, მიიღებს ახალ ფორმებს, ხოლო მისი ცვალება დამოკიდებულია ბუნების მეტყველებისაგან.

„მატერიალიზმი, სწერს ენგელსი, როგორც იდეალიზმი იცვლება, იგი იღებს ახალ ფორმებს, ბუნების მეტყველების განვითარებასთან ერთად“.

ეს აზრი ფრიად მნიშვნელოვანია მარქსიზმის ფილოსოფიისათვის. ამაზე ჩვენ ვრცლად ქვემოთ ვილაპარაკებთ.

გადავიდეთ მეორე კითხვაზე. როგორი უნდა იყოს მომავალი ფილოსოფიური სისტემა. მართალია, მარქს-ენგელსის აზრით მომავალი ფილოსოფიური სისტემა დამოკიდებულია ბუნების-მეტყველების განვითარებისაგან, მაგრამ გამოდის რა თავის სოციალურ-ეკონომიურ სწავლიდან მარქსი აშენებს ამ მომავალ სისტემის სხემას.

\*) იხ. ენგელსი „Анти-Дюринъ“ გვ. 20.

\*\*) იხ. ენგელსი „Фейербахъ“ გვ. 61.

\*\*\*) იხ. ლუნჩარსკი „Религия и социализмъ“ ტომი II.

\*\*\*\*) ემპირიზმი არის შეხედულება, რომელიც ცდაში ხედავს ცოდნის საფუძველს.

ფილოსოფიის და კერძოთ ცოდნის თეორიის უმცირესი მიზანი არის შემდეგი: იცნოს მსოფლიო, სინამდვილე, როგორც ადამიანთა მოქმედება და სუბიექტი ამ მოქმედებისა, როგორც სოციალური სუბიექტი, კოლექტივი, პირველი მხარე ამ მიზნისა:

იცნოს მსოფლიო, როგორც ადამიანთა მოქმედება, როგორც პრაქტიკა.

აი რასა სწერს მარქსი ამის შესახებ თეზისებში „ფეიერბახის შესახებ“: „მატერიალიზმის უმთავრესი ნაკლი ფეიერბახამდის მდგომარეობს იმაში, რომ იგი უყურებს მსოფლიოს მხოლოდ როგორც ობიექტს და არა როგორც ადამიანთა მოქმედებას, როგორც პრაქტიკას არა სუბიექტიურათ, (1 თეზისი) „ფეიერბახი არ არის კმაყოფილი აბსტრაქტულ აზროვნებით, იგი ეძებს ცოდნის მასალას გარეშე გრძობათა შთაბეჭდილებებში; ხოლო მსოფლიო კონკრეტულ მოვლენათა ვერ წარმოუდგენია მას, როგორც ადამიანთა პრაქტიკული მოქმედება“ (მე-5 თეზისი).

არა ნაკლებ ნათლათ დაუსვა მარქსმა ფილოსოფიის მეორე მიზანი: იცნოს მსოფლიო სუბიექტიურათ, **ხლო სუბიექტით ცდისა და ცოდნისა** (сущность опыта и познания) მიიღოს არა ინდივიდუალური სუბიექტი, არამედ სოციალური სუბიექტი, კოლექტივი.

„სარწმუნოებას ფეიერბახი ხსნიდა ადამიანის არსებით, მაგრამ არსი (сущность) ადამიანისა არ არის აბსტრაქტი. სრინამდვილეში იგი არის მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა“, ეს არის სოციალური ყოფა (социальное бытие), მთლიანი კოლექტივი (მე 6 თეზისი), დაბოლოს უკანასკნელი ციტატა მე-10 თეზისიდან.

„ახალი მატერიალიზმი ადამიანთა საზოგადოების, ანუ კაცობრიობის, რომელიც ცხოვრობს საზოგადოებრივ ცხოვრებით, თვალსაზრისზე სდგას“.

ამ უკანასკნელ მიზნიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მხარე მარქსიზმის ცოდნის თეორიისა:

ემპირიზმი, რამდენათაც იგი უარჰყოფს ინდივიდს, როგორც ცდის და ცოდნის სუბიექტს, იმდენათ უარჰყოფს ინდივიდუალურს ემპირიზმს და სდგება უნივერსალისტურ ემპირიზმის თვალსაზრისზე.

დარჩა განსახილველი ერთი საკითხი, სახელობრ, რა აზრისა იყო მარქსი მიზეზობრივობაზე. ამაზე ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მარქსი თავის სოციოლოგიურ თეორიის თანახმად იღებს ჰეგელის შეხედულებას. ჰეგელისათვის „მიზეზი და მოქმედება ერთი და იგივე ცნებაა“. მიზეზი ინახება მოქმედებაში და მასში ჰქმნის მხოლოდ თავის თავს (причина сохраняется въ своемъ дѣйствии и производитъ только самое себя. Гегель „Логика“) ამ ციტატიდან ნათელია, რომ ჰეგელისათვის მიზეზობრივობის კატეგორია არის პროცესი. მას ესმის იგი დინამიურათ და არა სტატიურათ. ამ აზრისა მარქსი, თავის „პოლიტიკურ ეკონომიის ზოგიერთ დებულებათა კრიტიკის“ წინასიტყვაობაში მარქსი სწერს:

„საზოგადოებრივი წესწყობილება არასოდეს არ იცვლება, სანამ არ განვითარდება ყველა საწარმოო ძალები... და ახალი უფრო მაღალი საწარმოო ურთიერთობანი არასოდეს არ ჩნდებიან სანამ თვით ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში არ აღმოცენდება მისი არსებობის პირობები“.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მიზეზი და მოქმედება არ არიან განსახვრული დროით. ყველა პირობების შესრულების მომენტი არის იმავე დროს შედეგის დადგომა.

ამ რიგათ ჩვენ შეგვიძლიან გაუკეთოთ რეზიუმე მარქს-ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებებს.

I თეზისი. მარქს-ენგელსის მატერიალიზმი არ არის მეტაფიზიკური ცნება, იგი არის გნოსეოლოგიური, და ამ მხრივ იგი ნიშნავს ემპირიზმს (როგორც ჩვენ დავინახეთ იგი არის უნივერსალისტური უკეთ „კოლექტივისტური“ ემპირიზმი).

II თეზისი. მატერიალიზმი დამოკიდებულია ბუნების-მეტყველების განვითარებისგან.

III თეზისი. ფილოსოფიის მიზანი: იცნოს მსოფლიო სუბიექტიურათ, ხლო სუბიექტათ ცოდნისა და ცდისა იცნოს კოლექტივი.

IV. მიზეზობრივობა მარქსს ესმის დინამიურათ და არა სტატიურათ.

კ. ბაქრაძე.

თანსაქედროვე კაპიტალიზმის ცენტრების ფორმები და სოციალიზმი.

II თანამედროვე იმპერიალიზმი.

როგორც დავინახეთ, კაპიტალი თავის ისტორიულ განვითარების დროს მისწრაფის განსაზღვრულ ტერიტორიის საზღვრებს ვასცდეს. ეს მისწრაფება კონკრეტულ განხორციელების დროს რამდენიმე სახეს ღებულობს: კაპიტალი იგი საღდება საგარეო ბაზარზე ან საქონლის, ან და თავისუფალ, ზედმეტ კაპიტალის სახით, (განვითარების ფინანსიურ ფაზისში). რადგანაც მზადდებოდა აუარებელი საქონელი, მოუწესრიგებლათ, სრულიად უცნობ მყიდველისთვის, ამიტომ საჭირო ხდებოდა კიდევ ახალი ადგილების გამოიხება, საცა შესაძლებელი იქნებოდა ამ საქონლის გასაღება. მაგრამ ვინაიდან რამოდენიმე სახელმწიფო ეცილებოდა ერთმანეთს ასეთი ადგილების დაპყრობაში, საჭირო იყო თავის ბატონობის იარაღით ხელში დამკვიდრება. ამის გაძო სახელმწიფო აპარატი სამხედრო ძალის აპარატთა გადაიქცა. მილიტარიზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, კაპიტალისტური ქვეყნები ჯავშნითა და თოფ-ზარბანით შეიარაღდნენ.

აი ამ მისწრაფებას ანექსიებისაკენ, კაპიტალიზმის ყველა ფორმებში, ამ ლტოლვის თავისი ტერიტორიის გაფართოვებისა და დაპყრობის ტერიტორიების მეტროპოლიის მიერ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ და-

მონავებისაკენ—ეწოდება იმპერიალიზმი. იმპერიალიზმი მაინც და მაინც როდია მონოპოლია ფინანსიური კაპიტალისა. ისტორიამ იცის იმის მაგალითებიც, რომ სხვა და სხვა სახელმწიფონი კაპიტალისტურ ხანამდევ არ იყენენ წყურალათ ანექსიებთან. გაისხენეთ თუ გინდათ ძველი რომაელების „მსოფლიო ბატონობა“; ან და რუსეთი მეცხრამეტე საუკუნემდე.

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც კი ჰქმნის აუარებელ ფაბრიკატებს და მდიდარია კაპიტალით, გაასკეცებულ ძალით აწარმოებს იმპერიალისტურ პოლიტიკას. და ამ იმპერიალიზმმა უფრო წინ წაიწია, განვითარდა და მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს მაშინ, როცა ევროპაში გაბატონდა ფინანსიური კაპიტალი, რომელმაც ქვეყანაზე ერთი კუთხეც არ დასტოვა, რომ შიგ თავისი ნაწარმოები არ შეეტანა და არ „გაეხედინერებინა“ იგი. ამიტომ ამ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გააფთრებულ ბრძოლაში გამარჯვება ხდებდა იმას, ვისაც უადრესათ აქვს განვითარებული კაპიტალიზმის ეს ფორმა. ამისთანა დაწინაურებული სახელმწიფონი შვიდობიანობი დროს ავსებენ ჩამორჩენილ ქვეყნებს, ახალშენებს კაპიტალით (კაპიტალის „გატანა“); როცა კი ძალით წყვედა საკითხები ე. ი. ომია განაღებული, მაშინ ეს სახელმწიფონი სტელიობენ ხელში ჩაიგდონ სამრეწველო ცენტრები (გაისხენეთ გერმანიის მად ბელგიის დაპყრობის დროს, ან და საფრანგეთი—როცა საკითხი ელზას-ლორენს ეხებოდა).

ამკარაა, რომ ფინანსიური კაპიტალი უფრო მეტათ არღვევს ნაციონალურ მიჯნებს, ვიდრე სავაჭრო ან სამრეწველო, ედება მთელს დედამიწას და შეაქვს ყველგან თავის კულტურა და ეკონომიური ბატონობა. ამიტომაცაა, რომ დღეს თითქმის აღარ არის ისეთი კუთხე, საცა „ევროპიული ენა“ არ გაისმოდეს და საცა არ შეხედეთ ევროპის წარმოების საქონელს.

უმთავრესათ ამ კაპიტალის ტენდენცია არის ეკონომიურათ გათანაწიორება ყველა ქვეყნების, აყვანა მათი კულტურის ევროპ. კულტურამდე და ასე მათი ერთ დონეზე დაყენება. თუ ფეოდალიზმის განსაკუთრებული თვისება მდგომარეობდა იმაში, რომ დაეყვანა მინიმუმამდე ეკონ. და კულტურული კეთილ-დღეობა იმ ქვეყნების, საცა ის გაბატონდებოდა, სამაგიეროთ კაპიტალიზმი უმთავრესათ მისი უმაღლესი ფორმა) „იძლევა“ კიდევ, იუხედავთ იმისა, რომ უფრო მეტი მიაქვს. ამ კაპიტალიზმის განვითარების წყალობით არის, რომ ჩრდილოეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და სხვა ქვეყნები დღეს ე დაწინაურდნენ და ეკონომიურათ ევროპასაც შეეიღონენ.

ამნაირათ, კაპიტალიზმის განვითარების თავისებურთესებებმა ჩაუყარეს საფუძველი იმპერიალისტურ ანუ ლონიალურ პოლიტიკას. ჩვენ ვიცით მთელი ისტორია ლონიალურ ომებისა. ამა თუ იმ მსუქანი ადგილის გა—როცა იმის გულისთვის ერთმანეთს ეცილებოდა რამიმე სახელმწიფო, ხშირათ სამშენელი კოლონიალური

ომი ამტყდარა. მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როცა ნაკერი მეტათ მიმზიდველი იყო მათთვის, და თანაც სავაჭრო ბაზრის საჭიროებაც ძლიერი, —სხვა შემთხვევებში კი ხდებოდა მშვიდობიანი მორიგება და „გავლენის სფეროს განსაზღვრა“—მით უფრო მაშინ, როცა სადაო ადგილი დიდი იყო და დროებით მაინც შეეძლო ორივე მოქიშვე მხარის დაქმყოფილება. ამ კამათ კი, როგორც ვიცით, მთელი ქვეყანა უკვე განაწილებულია სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

თანამედროვე მსოფლიო ომი—მისწრაფებაა ახალშენების ხელახლათ განაწილებისა და გადამიჯვნისაკენ, რაკი დასავაჭრობი ადგილი აღარსად სჩანს. აგრესიული როლი ამ ომში უმთავრესათ გერმანიას ეკუთვნის; საერთო ცენტრალურ სახელმწიფოებს; ისინი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით დაშორებული იყენენ საუკეთესო საზღვაო გზებს და ცხადია გვიან გაუვითარდებოდნენ. მაგ. მათ შორის ავსტრიას ახალშენები სრულებით არა აქვს, მაშინ როდესაც იტალია, შედარებით ეკონ. განუვითარებელი ქვეყანა, საქმათ ფლობს ახალშენებს. ამის გამო იყო რომ ცენტრ. სახელმწიფოები ომისთვის უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ გამოურკვეველია რა მხრივ შესცვლის ეს ომი „კოლონიალურ კონსისტურას“; აგრეთვე როგორი იქნება მომავალი კოლონიალური გადამიჯვნა, —მაგრამ რაც უნდა იყოს კაპიტალიზმის ტენდენციებს გაფართოებისაკენ ვერ შეაჩერებს, იგი მის ახლავებულ შვირთებს კარგა ხანს ვერ დააწყნარებს. ეხლანდელი კაპ. საზოგადოება ვეღარ იტყვს თავის წიაღში ნაწარმოვო ძალთა განვითარების ტენდენციებს—ეს მოვლენა კი პროლეტარიატის, კაპიტალისტ. საზოგადოების „მესაფლავის“ აზიციას კიდევ უფრო აძლიერებს და მას გამარჯვების შანსებს უშატებს. ამიტომ სწერდა კაუტსკი, რომ მსოფლიო ომი, კოლონ. პოლიტიკით გამოყვეული, სულ ადვილი შესაძლებელია, წინ უძღოდეს სოციალისტურ რევოლიუციასო (კ. კაუტსკი: „სოციალური რევოლიუცია“).

მიუხედავთ ამისა, თანამედროვე ბურჟუაზია გადაქრით დაადგა ამ მისთვის სახიფათო გზას—იმპერიალისტურ პოლიტიკას. ეს ჩვენთვის ადვილი გასაგები ხდება თუ კონკურენტის ძალს მივიღებთ მხედველობაში: თუ იმპერიალიზმის გზა სახიფათოა, მაგიერი მსუქანი მოგებაც არა ნაკლებ მიმზიდველია კაპიტალისტისათვის.

იმპერიალიზმის მსვლელობა ძლიერ-მოსილი იყო აქამდის. მას განაზე ვერავითარი რეალური ძალა, თუ გინდ პროლეტარიატის სახით, ვერ ელოებოდა. ესეე მოიხდა ამ ომის დროსაც. ზოგიერთი ს.დემოკრატი ყოველ წინააღმდეგობის გაწყევასაც უნდადავით და ზედმეტათ სთვლიდა, რადგანაც მათის აზრით, იაპერიალიზმის ძირიათ მოსპობა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია და სხვა პალიატიური ზომებს არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს.

მოკლეთ, იმპერიალიზმმა, როგორც თანამედროვე ცხოვრების საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანმა ფაქტმა, სხვა და სხვა შეხედულება და აზრი დაჰადა თვით ს.დემოკრატიის ფაოგალშიც. რა შეხედულება და აზრები იყო ეს—ამაზე შემდეგ ჟერილში მოვილაპარაკებთ.

**გიორგი ნინოშვილი.**

# სადღეისო შენიშვნები

## I მუშებს.

დიდი ხანია ნათქვამია, ცოდნა ძალააო. ცოდნა თვით იქცევა ფიზიკურ ძალაა, როცა მას ფართო მასა ითვისებს — ამბობს კ. მარქსი, და მართლაც, დღეს საუკეთესო ძალა — ეს ცოდნაა. საუკეთესო მებრძოლიც ამ თანამედროვე იარაღით, თეორიულ შეგნებით უნდა იყოს აღჭურვილი. წინათ, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობა არ იყო განვითარებული, როცა მას ჯერ კიდევ არ მიეღო ის მწვავე ხასიათი, რომელსაც დღეს ატარებს, მთავარ ყურადღებას ბუნების შესწავლას აქცევდნენ. თეორიულ ცოდნას იყენებდნენ უმთავრესათ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში. საზოგადოებრივ ცხოვრების, ადამიანთა შორის არსებულ დამოკიდებულებათა შესწავლას მაშინ ნაკლებათ უწევდნენ ანგარიშს. „მას (ადამიანს, ვ. ნ.) მუდამ უფრო აინტერესებს ბუნება, ვინემ საზოგადოება... ბუნების შესწავლა სავალდებულო საგნათ არის გადაქცეული სასწავლებლებშიაც, თვით სახალხო სკოლებშიაც კი. საზოგადოება? მისი შესწავლა, მისი გზა-კვალის გაგება და, საზოგადოათ, მისკენ ყურადღების მიპყრობა რჩეულთა ხვედრია“\*).

მაგრამ რაც დრო მიდიოდა, საზოგადოებრივი ურთიერთობა რთულდებოდა, მწვავედებოდა, საზოგადოებრივი მრძოლა უფრო და უფრო ღრმავდებოდა და მეტ ყურადღებას იპყრობდა, სოციალური კითხვები წინ დგებოდა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების შესწავლის სურვილმა გაუსწრო წინ ბუნების შესწავლის სურვილს, საზოგადოებრივ კითხვებისადმი ინტერესი სკარბობს ბუნებისადმი ინტერესს. საზოგადოებრივ ბრძოლაში მმართველდნენ სხვა და სხვა საშუალებას, სხვა და სხვა იარაღს, რომელთა შორის პირველ ადგილს თანდათან ცოდნა, თეორიული შეგნება იჭერდა.

ვინ უნდა ყოფილიყო ამ ბასრი იარაღით აღჭურვილი, ვის ხელში უნდა ყოფილიყო ეს დიდი, მრავალმნიშვნელოვანი ძალა?

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ კლასისათვის, არც ერთ საზოგადოებრივ ჯგუფისათვის არ

არის ცოდნა საჭირო ისე, როგორც პროლეტარიატისათვის. პროლეტარიატი მატარებელია ისტორიული მისიის. მას დიდი როლი აქვს დაკისრებული, მან უნდა დაამხოთ თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება და მის ნანგრევებზე აავსოს სამართლიანობისა და შრომის სამეფო — სოციალიზმი და ამით გაანთავისუფლოს ტანჯვა-წვალებისაგან როგორც თავის თავი, ისე მთელი კაცობრიობა.

ამ მიზნის განხორციელების გზაზე მას უხდება ბრძოლა სხვა კლასებთან, სხვა ჯგუფებთან. მოწინააღმდეგენი ყოველგვარ საშუალებას, ყოველგვარ ზომას მიმართავენ, რომ დაამარცხონ პროლეტარიატი, რომ შეაჩერონ მისი ძლიერ მოსილი მსვლელობა. მაგრამ პროლეტარიატის გზის სისწორე, ობიექტიურ პირობებით განსაზღვრული ისტორიის მსვლელობა უზრუნველყოფენ მუშათა კლასის გამარჯვებას. ამ გამარჯვების რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლითა და ტყვიანობით მისაღწევათ, კლასიურ ბრძოლის გასაადვილებლათ და არსებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა მან იცოდეს თანამედროვე ცხოვრების ასეველ-ჩასავალი, მისი შინაარსი, სანამ ბარიკადებზე გაიმარჯვებდეს, პროლეტარიატმა რამდენჯერმე უნდა გაიმარჯვოს იდეოლოგიაშია, ამბობს კ. მარქსი. პროლეტარულ იდეოლოგიამ უნდა დაამარცხოს იდეოლოგია ბურჟუაზიული. და თუ მუშათა მოძრაობის პირველ ხანებში ფაქრობდნენ მუშათა კლასის განთავისუფლებას ისე, რომ განმთავისუფლებელ მოძრაობაში ფართე მონაწილეობა არ მიეღო თვით მუშათა კლასს და, ამნაირათ, თუ წინათ „ზევიდან“ ცდილობდნენ მშრომელი მისის განთავისუფლებას, შემდეგ მდგომარეობა არსებითათ შეიცვალა. მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო — გამოაცხადა მეცნიერული სოციალიზმის მამათმთავარმა კ. მარქსმა. მალე თვით ცხოვრებამ დაარწმუნა მუშები ამ დებულების სისწორეში. მათ დაინახეს, რომ საბოლოო მიზნის განსახორციელებლათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვისი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მუშა დაუპირისპირდა თავის კლასიურ მოწინააღმდეგეს კაპიტალისტს. მაგრამ კაპიტალისტი ძლიერია დღეს ქონებით, ნივთიერი საშუალებებით. იგი აღჭურვილია აგრეთვე შესაფერი ცოდნით, მის მხარეზეა თვით სახელმწიფოც, რომ შესძლოს კაპიტალისტის დამარცხება, თავის მოთხოვნილებათა განხორციელება, მუშაც

\*) იხ. ნოე ჟორდანისა წინასიტყვაობა ნ. რამიშვილის „ისტორიულ მატერიალიზმი“-სა.

უნდა იყოს შესაფერი ცოდნით აღჭურვილი. იგი ალაღბედზე არ უნდა იბრძოდეს. მას გათვალისწინებული, შესწავლილი უნდა ჰქონდეს ის პირობები, რომლებშიაც უხდება ბრძოლა. „სახოგადოების ცოდნა, საზოგადოებრივ ძალების გათვალისწინება, ურთიერთობის ჩარხის შეგნება და მისი თავის მიზნისათვის აბრუნება — აი თანამედროვე მებრძოლის მიუცოდებელი თვისება, აი მისი მკვეთრი აბჯარ-მოკავშილეობა“\*).

გარდა ამისა მუშას აქვს დღეს საკუთარი ორგანიზაციები, საკუთარი კავშირები. იგი მუშაობს აგრეთვე საერთო დემოკრატიულ დაწესებულებებში. ყველა ეს პოლიტიკური (პარტიული) ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, კოოპერატივები, საავთმყოფო კასები, მუშათა სეკრეტარიატები, სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები, შრომის ბირჟები და სხვ. — ყველა ეს ორგანიზაციები მოითხოვს მუშათა აქტიურ ჩარევას, მათ საქმიანობასა და მოქმედებაში მუშა უნდა იღებდეს ახლო მონაწილეობას. ვინ უნდა აწარმოვოს საქმე საავთმყოფო კასებში, თუ არა მუშამ, ვინ უნდა გაუძღვეს საქმეს პროფესიონალურ კავშირებში, მუშათა კოოპერატივებში, თუ არა იმავე მუშამ. თავის მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაცავათ, ხსენებულ ორგანიზაციებში თავის კლასიურ შენეულების გასატარებლათ მუშას აუცილებლათ უნდა ჰქონდეს შესაფერი ცოდნა, შესაფერი თეორიული მომზადება. მუშამ თვითონ უნდა აკეთოს თავის საქმე, მან უნდა უპატრონოს თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციებს. ამიტომ მუშაობიდან თავისუფალი დრო მუდამ ცოდნის შეძენას უნდა მიანდომოს.

გაჭვარტლულ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის შემდეგ იგი ბიბლიოთეკა-სამკითხველოში უნდა მიეშურებოდეს, თეატრსა და სხვა კულტურულ გასართობებს ეწაფებოდეს. 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება, სხვათა შორის, ამ მიზანსაც გულისხმობს. მუშას უნდა ჰქონდეს დრო ცოდნის შესაძენათ. და იმდენათ მეტი იქნება ეს დრო, რამდენათ მოკლეა სამუშაო დღე.

განსაკუთრებული ყურადღება ცოდნის შეძენის საქმეს უნდა მიაქციონ ახალგაზრდა მუშებმა, რასოდეს, შეიძლება ითქვას, ისე საჭირო არ ყო-

ფილა ცოდნა, როგორც დღეს, როცა რუსეთის დიდმა რევოლუციამ სამუდამოთ დაამსხვრია მონობის ბორკილები და დემოკრატიული წყობილება დაამკვიდრა. თუ წინათ მუშათა კლასი განდევნილი იყო ყოველგვარ დაწესებულებებიდან, თუ მას არ ჰქონდა საშუალება ახლო მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ მუშაობაში — დღეს მას ფართო ასპარეზი აქვს წინ გადაშლილი, დღეს მას ეძლევა საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სხვა და სხვა დაწესებულებათა მუშაობაში. რევოლუციის მიერ მონაწილარი პოლიტიკური თავისუფლება შეძლების აძლევს მუშებს მოაწყოს თავისი კლასიური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებში კი საჭიროა მუშაობა, მათ უნდა ხელმძღვანელობდეს თვით მუშები.

გარდა ამისა მუშათა კლასი იძულებულია მონაწილეობა მიიღოს საერთო დემოკრატიულ საქმეებში, რომ მისცეს მათ სასურველი მიმართულება და ყველა კითხვები პროლეტარული თვალსაზრისით გადასჭრას.

წინათ დევნიდნენ მ-ს, ვინც თეორიული შეგნებით ეყო აღჭურვილი და ცდილობდა მის გამოყენებას პროლეტარიატის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მომავალში კი თვით ცხოვრება დასტანჯავს იმათ, ვისაც არ ექნება საჭირო ცოდნა, საჭირო მომზადება და გამოცდილება. წინათ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლაში ერეოდა მესამე ძალი, ბურჟუაზიის დახმარებას უწევდნენ პოლიციელები, ჟანდარმები და უხეში ძლით საშუალებას ართმევდნენ პროლეტარიატს ამ ბრძოლაში თავისი ცოდნა გამოეყენებია. მაშინ დევნიდნენ ყოველგვარ ორგანიზაციებს, კავშირებს, რომლებსაც განახლებულ ცხოვრების ელფერი ოდნავ მაინც ემჩნეოდათ. მუშებს ერეკებოდნენ ამ დაწესებულებებიდან. საავთმყოფო კასებში, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში მუშაობის მაგივრათ ციხეებში და ციმბირში ისტუმრებდნენ. დღეს პირობები შეცვალა. კლასიურ ბრძოლის ასპარეზი თავისუფალია ხელოვნურ დაბრკოლებათაგან. მუშათა კლასის საშუალება ეძლევა თანასწორ პოლიტიკურ პირობებში შეებრძოლოს ბურჟუაზიას და ამ ბრძოლაში თავისუფლათ მიმართოს საუკეთესო იარაღს — ცოდნა-გამოცდილებას.

ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს ახალგაზრდა მუშებს, როგორც მომავალ ცხოვრების მა-

\* ) იქ., გვ. IV.

ტარებელთ. ამიტომ საჭიროა ახალგაზრდობა ამ თავითვე შეუდგეს ცოდნის შექმნას, რომ მომხადებული შეხედეს მომავალს.

წინათ, ძველი რევიზის დროს, ცოდნის შექმნას დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ. ფიზიკური აზრი, მკვეთრი სიტყვა სასტიკათ იღვენებოდა. საჭირო წიგნების, მშრომელთა ინტერესების დამცველ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა აღკრძალული იყო. სამაცადინო წრეების დაარსება, სახალხო უნივერსიტეტების, საკვარაო სკოლების და სხ. მოწყობა შეუძლებელი იყო. მაგრამ ჩვენი უფროსი ამხანაგები ასეთ პირობებშიაც არ იღებდენ ხელს მაცადინობაზე. მოივინეთ თუნდა, როგორ, რა მძიმე და საშიშინელ პირობებში მაცადინობდენ მე-90 წლებში მუშათა წრეები დასელთა ხელმძღვანელობით. დღეს კი ჩვენ სასარგებლოთ შეიცვალა მდგომარეობა და ჩვენ რომ ამით არ ვისარგებლოთ, დიდ დანაშაულს ჩავიდინთ მუშათა განთავისუფლების საქმის წინაშე.

ამიტომ საჭიროა მოეწყოს ახალგაზრდა მუშების სამაცადინო წრეები. ამ წრეების დანიშნულება და მიზანი უნდა იყოს მუშათა კლასის მოძღვრების, მეცნიერული სოციალიზმის შესწავლა უმთავრესათ. და რომ ეს შესაძლებელი გახდეს, ყველა ახალგაზრდა მუშა უნდა ჩაეწეროს წევრათ ამიერ გაეკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია სწორეთ ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის თეორიულათ მომზადებას. ამ ორგანიზაციას აქვს თავისი ბეჭდითი ორგანო, ყურნალი „ახალი კვალი“, რომლის დანიშნულებათა დაეხმაროს ორგანიზაციას თავის მიზნის განხორციელებაში და გააშუქოს თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოყენებული კითხვები.

არც ერთი ახალგაზრდა მუშა არ უნდა დარჩეს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის გარეშე. ყველა უნდა ჩაეწეროს ორგანიზაციაში წევრათ და დაეწყო წრეებში მაცადინობას.

ყველა უნდა შემოკრბეს „ახალი კვალი“-ს გარშემო, ყველა უნდა კითხულობდეს მას.

ამით ახალგაზრდა მუშები შეასრულებენ თავის მოვალეობას, ხელში აღებენ პროლეტარულ დროშას და მის გარშემო შემოკრებილნი, საჭირო ცოდნით აღჭურვილნი—მედგრათ განაკრძობენ უფროს ამხანაგების გასა საბოლო მიზნის, სოციალისმის განხორციელებლათ.

ვ. ნიკურაძე

# კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

## III.

სოც. დემოკრატია — „მტერი“ კოოპერაციისა.

როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დასვლები არ იზიარებენ ფედერალისტთა ზემოაღნიშნულ შეხედულებას კოოპერაციაზე. თავის აზრს სოც.-დემოკრატები ასაბუთებენ შეურყვევლ დებულებებით, რომელთაც—ვრცლათ ჩვენ ქვემოთ გავეცნობით. საზოგადოთ კოოპერატივებს არა აქეთ არც საკმაო თანხა, არც იმდენი კომერციული ცოდნა-გამოცდილება, რომ ყრძო კაპიტალისტებს გაუშკლავდენ. ფედერალისტთა ვალი იყო, გაეკრიტიკებიათ, გაემათილებიათ მარქსისტთა შეხედულება კოოპერაციაზე და დაემტკიცებიათ თავიანთი. შემდეგ რა იქნება არ ვიცით, აქამდე კი მათ ეს ვალი არ მოუხდიათ.

ისინი დაქაყაფილდენ მხოლოდ დებულებათა აღნიშვნით, მათი წამოყენებით, უბრალო დეკლარაციით. ეს რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რომ საქმე ამითი გათავებულიყო. სოც.-დემოკრატია მოელოდა ფედერალისტთაგან სერიოზულ კრიტიკას და ამის ნაცვლათ მიიღო ისეთი „სიურპრიზი“, რომელიც ქვემარჩათ რომ წარმოუდგენელი იყო. ფედერალისტებმა მარქსისტები კოოპერაციის დაუძინებელ მტრათ გამოაცხადეს. მოუსმინათ მათ!

ბ-ნი „მოუსვენარი“ („ზვირთი“) ეხება რა მარქსისტთა შეხედულებას კოოპერაციაზე, რომ იგი პალიატიური ზომათა, რომელმაც დროებით უნდა შეამსუბუქოს დემოკრატის ქირ-ვარამი, ამბობს: „ამ შემთხვევაში მარქსიზმი სრულ ლოღიკურ წინააღმდეგობაში ვარდება. ვერავითარ სოფიზმებს, ვერავითარ მსჯელობას ვერ შეუძლიან ლოღიკური მთლიანობა დაამყარონ იქ, სადაც სრული ლოღიკური წინააღმდეგობა არსებობს. მარქსისტს ვერ შეუძლიან კოოპერატორი იყოს, როდესაც ის კოოპერატორობს, მარქსიზმს დილატობს; როდესაც მარქსიზმს იცავს, კოოპერაციას დალატობს.“ („ზვირთი“ № 52, 1916 წ.). მარქსიზმის ძირითადი დებულებათა კაპიტალის კონცენტრაცია და მასიური პროლეტარიზაცია, კოოპერაციის მიზანი კი თავის წევრთა მოლოდინებათა—გაძლიერება. „ვინ არიან მერე ეს წევრები?—კითხულობს „მოუსვენარი“ და უპასუხებს: მხოლოდ გლეხი ხელისანი და საზოგადოთ დემოკრატია“ (იქვე).

აი აქ ხედავს „მოუსვენარი“ კოოპერატორ მარქსისტის ლოღიკურ წინააღმდეგობას. „კოოპე-

აკცია, განაგრძობს იგი, თავის საბოლოო მიზნით და მახლობელი პრაქტიკული საქმიანობით\*) საფუძველი ეწინააღმდეგება მარქსიზმს“. აქ ავტორი ააშკარავებს თავის ერთ დიდ ვულგაროზაციას მარქსიზმის გაგებაში და ურევს ერთმანეთში ორ სრულიად სხვა და სხვა ცნებას—პროლეტარიზაციას და პაუპერიზაციას (გალატაკებას). ამაზე ქვემოთ!

„მოუსვენარის“ აზრს (მხოლოდ უფრო რიხიანათ) იმეორებს თ. ლლონტი (“სახ. ფურცელში“). იგი სწერს: „მარქსიზმი თავისუფალ ნებისყოფის უარყოფაა (sic!), კოაპერაცია კი ნომატიული და კონსტრუქტიური იდეოლოგიაა, მისი საფუძველი იდეალისტური ფილოსოფიაა (sic!). ამნაირათ კოაპერატიზმი და მარქსიზმი არა მარტო ეკონომიურ შემეცნებაში უპირისპირდებიან ერთმანეთს, ისინი ერთი მეორის ფილოსოფიური უარყოფაცაა. („სახ. ფურც.“ № 695, 1916 წ.).

რომ კოაპერაციის საფუძველი არის აკანონიური მდგომარეობა და არა იდეალისტური ფილოსოფია, ეს ჩვენ პირველ წერილში ვხანხეთ, როგორც კოაპერაციის დღევანდელ ფორმათა წარმოშობის ისტორიის შედეგით. კოაპერაციის ჩვენ წლებში ისტორიის ჯერ კიდევ საშუალო საუუნეებში—ხელოსანთა, ნეღლი მასალის საწყობთა სხვ. არტელები სხანათ. მაგ. მეყველეა ამხანაბანი შევიცარიში ჯერ კიდევ XIII საუკუნე არსებობდენ.

ჩვენ არ ვიცით, და შეიძლება თ. ლლონტმა ცოდეს, ამ დროს ნეტავი რომელი იდეალისტი ფილოსოფოსები ჰქმნიდენ კოაპერაციის იდეას და ადგებდენ მას ალბის მთებში.

რაც შეეხება ავტორის მეორე დებულებას, რომ მარქსიზმი თავისუფალ ნებისყოფის უარყოფაა, ჩვეულებრივი ვულგარიზაციაა მარქსიზმისა, როგორც სამწუხაროთ მე აქ გვერდი უნდა აუარო, მაიდან იგი არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს. თ. ლლონტი ამით არ კმაყოფილდება. იგი განაგრძობს: „ცხოვრებამ გაამტყუნა მარქსიზმი და აძლიერა კოაპერატიზმი, რომლის გაჩენა არ ესადა (sic!) და ვერ წარმოედგინა (sic!) მარქსიზმს. კოაპერაციის განვითარებით მარქსიზმი პრაქტიკულათ გამტყუნებულია (sic!) (იქვე). „თუ კოაპერაციამ პრაქტიკულათ გაამტყუნა მარქსიზმი, მარქსისტები სცდილობდენ პრაქტიკულათვე გაამტყუნონ კოაპერაცია ე. ი. გაამართლონ მარქსიზმი და მისი თეორიის სილიადისხათვის დასცენ კოაპერაცია“ (იქვე) „დასცელთა მოღვაწეობა

კოაპერაციაში მოასწავებს მის მოსპობას და განადგურებას“ (იქვე).\*)

მეორე კმარა! მეტათ მკაფიოთ და პირდაპირ გამოთქმა თავის აზრისა შეუძლებელიცაა. სოც.-დემოკრატია დაუძინებელი მტერია კოაპერაციის! კოაპერაცია განსაცდელიშაა, ჰკათ დასელებს!.. აი ფედერალისტთა სადღესო ლოზუნგი!

ს. მიხელიძე.

## რეზოლიუციები,

მიღებული ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე.

1

### მიმდინარე მომენტი.

„რუსეთში საწარმოო ძალთა განუვითარებლობის გამო პროლეტარიატს არ შეუძლია ჯერ-ჯერობით კაპიტალისტური წყობილების დამხობა და სოციალისტური წარმოების მოწყობა. სოციალისტურ რევოლუციის ინიციატივა მხოლოდ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს შეუძლია აიღოს ხელში, ჩვენი რევოლუციის მიზანი და დანიშნულებაა: დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, მუშათა და ეროვნულ საკითხების გადაჭრა, მიწის გადასვლა მშრომელ გლეხობის ხელში, და დემოკრატიული ზავის დაჩქარებით ჩამოგდება, ამ მიზნების განსახორციელებლათ დღევანდელ პირობებში საჭიროა პროლეტარიატისა და წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატების ერთთა მოქმედება. მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვადასულ სხელი ბურჟუაზიასთან კავშირის საბოლოოთ გაწყვეტა, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალურ უტოპიზმის უარყოფა—აი ერთათ ერთი გზა, რომელიც ალადგენს მთლიან რევოლუციონურ ფრონტს და მიიყვანს რევოლუციას სრულ გამარჯვებამდე. ბალშევიკების გათხოვას ნიადაგი მოუშნათ ხალხის უმეყოფილებამ, რომელიც გამოიწვია ომის გახანგრძლივებამ, ეკონომიურ ცხოვრების მოწყურებლობამ, სოციალურ საკითხების გადაჭრულობამ და სხ. ბალშევიკების მთავრობის პოლიტიკა თვისი უტოპიური მიზნებით ეწინააღმდეგება ჩვენი რევოლუციის მიზნებს. მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით გამეფდა აუტანელი ტირანია ლენინის მთავრობით, ვითომდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ფაქტურათ გადაიქცა დემოკრატის წინააღმდეგ საბრძოლველ პოლიტიკათ. ეს უპასუხისმგებლო პოლიტიკა ემყარება ხიშტიების ძალას. სოციალისტურ ექსპერიმენტებმა სავსებით არიკ-ღარია ეკონომიური ცხოვრება, გააჩაღა სამოქალაქო ომი და დასაშა მთლიანი რუსეთი, ლენინის პოლიტიკა ანცალკევეს მუშათა კლასს და უშნადებს მას საშინელ დამარცხებას.

იღებს რა ყოველივე ამას მხედველობაში, ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა პირველ კონფერენციის საჭიროთ მიჩინია ადგილობრივ განაპირა ქვეყნებში მიღებულ იქნას ყოველივე ზომები რევოლუციისა და დემოკრატიულ მოპოვებათა დასაცავთ და გასაძლიერებლათ, რომ შესაძლებელი ვახდეს ერთი მთლიანი რევოლუციონური ფრონტის აღდგენა რუსეთში, რაც აუცილებელი პირობაა რევოლუციის მიზნების განსახორციე-

\*) ხაზი ჩენია (ს. მ.).

\*) ხაზი აქ ყველგან ჩენია (ს. მ.).



ლებლათ. ამასთანავე კონფერენცია სასტიკ პროტესტს აცხადებს დამფუძნებელი კრების გარეკის და ამით დემოკრატიის ნება-სურვილებს ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ. იგი აღშფოთებულია ბალშევიკების ძალადობით, რომელიც მათ ინსარს ხალხის წარმომადგენლებზე და მოითხოვს დამფუძნებელ კრების დაუკანდელი მოწვევას, რომელიც აღადგენს რუსეთის მთლიანობას და გადასჭრის რევოლუციის მიერ წამოყენებულ ძირითად საკითხებს“.

2

ჯარში გაწვევის საკითხი.

„ვიღებთ რა შეხედულებაში, რომ თავდაცვისათვის აუცილებლათ საჭიროა ფიზიკური ძალა, რომელიც დღეს შეიძლება შესდგეს მხოლოდ ჯარისაგან, რომ რ. ს. დ. მ. პ. თათბირმა უკვე გადასწყვიტა ამ მიზნით გაწვეულ იქნას ჯარში ახალგაზრდები 19-25 წლამდე—კონფერენცია ავალდებს წევრებს ყოველივე ძალ-ღონით ხელი შეუწყონ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას. ჯარში გაწვეულ ამხანაგებმა არ უნდა აიღონ ხელი ორგანიზაციაში მუშაობაზე და უნდა აწარმოონ ჯარისაკეთა შორის პროპაგანდა-აგიტაცია რევოლუციონურ წესრიგის დასაცავათ და მარქსიზმის იდეათა გასავრცელებლათ“.

3

ცენტრალური ორგანო.

„ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ ბუკეტითი ორგანოთა კონფერენცია აღიარებს ჟურ. „ახალ კვალს“. კონფერენციას შეუძლებლათ მიიწვიოს ცენტრალურ ორგანოში იბუკეტებოდეს ისეთი წერილები, რომლებიც ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიხედვით პროლიტკური ხასხა“.

ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ბარგული კონფერენცია.

(პირველი სხდომა. 17 იანვარი).

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია გაიხსნა თფლისში 1918 წ. 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე. კონფერენცია გახსნა ახალგაზრდა მარქსისტთა თფლისის ორგანიზაციის კომიტეტის სახელით თავმჯდომარემ ამავე კომიტეტისა ანხ. მ. ხუნდაძემ. იგი შემდეგის სიტყვებით მიესალმა კონფერენციას: ყველა ჩვენთაგანი კარგათ გრძნობს, თუ რა მძიმე მომენტს განვიცდივთ. ათასგვარი დამაბრკოლებელი პირობებით ვგელობებოდა წინ მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თქვენ მიანიც შეიკრიბეთ და ეს საუკეთესო ნიშანია იმის, რომ ჩვენში სჩქებს ახალგაზრდული ენერჯია, ახალგაზრდული მისწრაფება, რაც წინასწარ უზარუნველყოფს ჩვენს გამარჯვებებს და დასახულ მიზნების განხორციელებას.

რა შეადგენს ჩვენი კონფერენციის მთავარ მიზნებს? დღეს როდესაც, მთელი რუსეთი და ამიერ კავკასია ანარქიას მოუკავს, როდესაც მუშათა პარტიას სოც.დემოკრატიას კისრზე აწევს ათასგვარი საპასუხისმგებლო საქმეები, როდესაც საჭიროა დიად რევოლუციის თავის ლოლიკურ დასკვნამდე მიყვანა და ამით ხალხის ხსნა, როდესაც ყველასათვის აშკარა, რომ მუშათა პარტიას სწორეთ მომავალში დასჭირდება გაასკეცებული ენერჯით მუშაობა,—ჩვენი, ახალგაზრდა მარქსისტების წმინდა მოვალეობაა მხარეში უდგეთ ჩვენს უფროს ახმანაგებს მუშათა კლასის ინტერესებისათვის ბრძოლაში. ახალგაზრ-

დობა შეადგენს იმ დაუშრეტელ წყაროს, საიდანაც მუშათა კლასი იღებს თავადღებულ მებრძოლთ. მაგრამ თუ კ ვვიცნა ღირსეულთა შეეასრულეთ ჩვენი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე, პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა აღვიკურთოთ ცოდნით, რომელიც ყველაზე უფრო მჭკრეთ იარაღია კლასურ ბრძოლაში და რომლისთვისაც პირველ ყოვლისა საჭიროა სათანადო ორგანიზაციის შექმნა. მჭკრო ორგანიზაციული შეკავშირება, ჩვენი იდეოლოგიის ახალგაზრდობაში გავრცელება და მოხარდ თაფის პროლიტკური აღზრდა—აი რა მიზნებს ვისახავთ ჩვენ და მე მრწამს, რომ დღევანდელი ჩვენი კონფერენცია მჭკიდრ საფუძველს ჩაუყრის ჩვენს მომავალ შემოქმედებით მუშაობას (ტაში).

შემდეგ მოხდა კონფერენციის პრეზიდენტის არჩევნები. თავმჯდომარეთ აირჩიეს ანხ. მ. ხუნდაძე, თავმჯდომარის ამხანაგთა—ანხ. ს. ტაბიძე, მდივნებათ—ანხ. მ. ჩაჩუა და ბერიშვილი. სანამ დღის წესრიგს შეიმუშავებდა, კრებამ აირჩია სამანდატო კომისია და მოახდინა დამატებითი არჩევნები სასურსათო კომისიის წევრებისა. ამ კომისიაში აირჩიეს: ანხ. ლომთაძე, ი. ჯუღელი და ბერიძე; სასურსათოში—ხუნდაძე, მექანარიშვილი, ლომთაძე, კალანდარიშვილი და ორაგველიძე.

ამის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს თფლისის ორგანიზაციის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ კონფერენციის დღის წესრიგს. ანხ. ბ. რამიშვილს შემაჯავს ახალი საკითხი—მოზილიზაცია და ჩვენი ორგანიზაცია, მჭკრე კამათის შემდეგ კონფერენცია აბუკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: 1. მოხენებები ადგილებიდან; 2. მიმდინდელი მომენტები; 3. მოზილიზაცია და ჩვენი ორგანიზაცია; 4. ორგანიზაცია: ა) ახალგაზრდა მარქსისტთა თუ მოწვევთა ორგანიზაცია; ბ) ფრაქციული თუ გავრთიანებთ ორგანიზაცია; 5. წესდება; 6. მეცადინეობის გეგმა; ცენტრალური ორგანო; 8. ფინანსები; 9. მიმდინდელი კითხვები; 10. არჩევნები.

რადგანაც კონფერენციაზე თითქმის ყველა დღევანდელი ქართველი აღმოჩნდეს (გამოცა ერთისა), კრება მჭკრე კამათის შემდეგ აღგენს მუშაობა ქართულ ენაზე აწარმოოს. რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ კრება ირჩევს 7 კაციისაგან შემდგარ კომისიას, რომელსაც ავალდებს წესდებისა და სამეცადინო გეგმის გამოქვეყნებას. კომისიაში არჩულ იქნენ: ანხ. დ. ორაგველიძე, რამიშვილი, ბერაძე, კვაჭაძე, მეგლაძე, კვილა და ქუმბურძიძე.

ყველა ტენიკურ ხასიათის საკითხების განხილვის შემდეგ კრება ისმენს მოხსენებებს ადგილებიდან. გააკეთეს მოხსენებები: თფლისიდან (ანხ. ს. მიხელიძე); ქუთაისიდან (ანხ. ტაბიძე); ბათუმიდან (ანხ. ჯყინია), ხაშურიდან (ანხ. მეგლაძე); ოზურგეთიდან (ანხ. დულუხაძე); ყვირილიდან (ანხ. დ. ორაგველიძე); ლანჩხუთიდან (ანხ. კ. ორაგველიძე); ბახვიდან (ანხ. ინწკირველი); ჩოხატაურიდან (ანხ. ლ. ორაგველიძე); ლიხაურიდან (ანხ. ფორცხაღაიშვილი); ხიდისთავიდან (ანხ. ელენტი); სამბურელიდან (ანხ. მ. ჩაჩუა\*).

სხვა და სხვა მიზეზების გამო კონფერენციაზე აკ გამოცხადებულან დღევანდები: ფოთიდან, ხონიდან და სხვა ადგილებიდან. კონფერენციაზე წარმოდგენილ ორგანიზაციების წევრთა რიცხვი 2300-ამდე აღწევს.

სხდომა დასრულდა საღამოს 11 საათზე.

მ. ჩაჩუა.

\* ადგილებიდან მოხსენებები ცალკე დაიბეჭდები ჩვენს ჟურნალში.

5 984 53  
1918